13 აპრილი, 1908 წ. ფასი [illegible] 10

იუმორისტ. ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი





№ 26




თფილისის საბალოსნო სკოლა.

1 შეგირდი. ნიკო, შეხედე ამ კრედიტორებს!
ამდენ ნისიას ვინ გაასწორებს!

2 შეგირდი. შენ ძმავ მაგათზე ნუ იტკენ თავსა
ჩვენ შეგვაძრობენ დანარჩენ ტყავსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთი სკოლა.

„უწვრთნელი ძაღლის ყოლას ჯობს
უწვრთნელი შვილის ყოლასა“.
დავ. გურამიშვილი.

უწვრთნელათ დარჩეს სჯობია
ბალის სკოლაში ყოლასა.
ეშმაკი.

დიდუბეში, მუშტაიდთან
საბალოსნო სუფევს კლასი...
სასწავლებელ-პანსიონი
ქვით ქვეყნათ სხვა, ამის ფასი!
სამოსწავლო ოთახები
ბევრით ვერ სჯობს ციხის საკანს:
ვერც მზის სხივი ჩამოხედავს,
ვერც სინათლე ჩამოატანს.
კარ-ფანჯარა ფარღალალა
და ცემენტის ცივი პოლი...
(ათში, შვიდი მოწაფეა
რევმატიზმით დანაწოლი!)
საწოლი და სასადილო
უსუფთაო, ბნელი,-ცივი,
სიმყრალეს და სინოტიეს
ამ წერილში აღარ ვჩივი.
აღარც ბალი საყვავილე,
არც საფუტკრე აღარ არი,
სანერგე და ბოსტან-ბახჩა
ხელეპირათ გადამხმარი.
აღარც შეშა, აღარც ნავთი,
აღარც ღვინო, აღარც წყალი,
არც წეს-რიგი სავარგისი,
აღარც კანონ-სამართალი!
დღე მუდამ გარს ახვევია
კრედიტორთა მთელი ჯარი,
ზოგი ბლა წამოსულა,
ზოგის ბიჭი და ნოქარი.
და დილიდან სალამომდე
თავის ქონვა უნდა სტუმრებს,
(ძაღლების არ ეშინიათ
თუმც სკოლა ბევრს ახმაურებს!)
ასე საწყლათ, უბედურათ
გდია სკოლა უპატრონო...
რით აუდგეს კრედიტორებს
უსუსური და უღონო.
„კავკასიის სასოფლო“ თუ
რაღაც საზოგადოება,
სხვას რა რიგათ დაეხმაროს
როცა თვითონ სული ხვდება?
სხვა და სხვა მხრით იწევიან
ვით კრილოვის „კიბო-გედი“
და სიკეთე არ ნახულა
ჯერ იმათი ნამოქმედი.
ეგნატე და ქანანოვი,
(სკოლა რო წყდებოდა წელში)
საპატიო მზრუნველობას
ერთმანეთს აგლეჯდენ ხელში.
დღესაც სკოლის პატრონობა,
ამგვარ პირისუფლებს აწევს
და მისი დღეც დათვლილია:
ზაფხულს ვეღარ გადააწევს.

**ნიორი.**

---

## სჯობს რაც ადრე წაიქცევა.

აღსდგა ქრისტე?
ვგონებ არა...
აღსდგა მხოლოდ ძველი წესი,
აღსდგა ძველი ბატონობა
ჯოჯოხეთზეც უარესი!...
აღსდგა ისკარიოტელი
და იმისი სწავლა მცნება...
აღსდგა თავის სიძლიერით
სიმხეცე და ბოროტება.
ქრისტე აღსდგა??
არა ვგონებ...
აღსდგა მხოლოდ ბნელი ძალა,
აღსდგა ყველა ზნე წამხდარი,
მძარცველი და მაწანწალა.
აღსდგა მხოლოდ გამცემლური
ღალატი და პირფერობა,
აღსდგა მხოლოდ სივერაგე
და უსაზღვრო შური, მტრობა...
აღსდგა ქრისტე??
ვგონებ არა...
აღსდგა მარტო სივაგლახე,
აღსდგა მხოლოდ ძალადობის
შავ-ბნელი და ბილწი სახე.
აღსდგა ყველა, რაც გაბმულა
ჯოჯოხეთის გზათ და ხიდათ,
ბარბაროსთა მტარვალობა
დიახ, აღსდგა ჭეშმარიტათ.
ქრისტე აღსდგა?
არა ვგონებ...
დღეს პირფერობს თითქმის ყველა,
აღსდგა მხოლოდ რეაქცია
და მზის სხივი დაგვიბნელა.
აღსდგა მხოლოდ საზიზღარი
მლიქვნელური ყოფა-ქცევა,
და ყველა ეს ფეხზე მდგომი
სჯობს რაც ადრე წაიქცევა.

**ტოროლა.**

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქრისტე აღსდგა!

— მოდი, ტანჯულ-წამებულო!
ტუჩი ტუჩში ჩამაკონე!
„ქრისტე აღსდგა!—ჭეშმარიტად!“
ეგ ტკბილი ხმაც გამაგონე!
ქრისტე აღსდგა! გიხაროდეს,
ეგ სიმბოლო ჩვენი ძმობის!
მოდი და კვლავ გადამკოცნე,
ნიშნად წრფელი თანაგრძნობის!
ვინც კი ნახო ჩვენის ხვედრის,
ყველას ასე მიესალმე!
მეგობრულათ მოეხვიე,
ტუჩი ტუჩში ჩააკალმე.
უთხარი, რომ აღსდგა იგი,
სიყვარულის მოციქული,
ვისიც გულთან ახლო არის
ტანჯული და დაჩაგრული.
უთხარი, რომ აღსდგა იგი
ნათელი ჭეშმარიტება,
რადგან იგი ის ძალაა,
არასოდეს რომ არ კვდება!
ჯვარიც მისთვის მოიგონეს
ეშაფოტებს მისთვის სდგამენ,
მაგრამ იგი მაინც აღსდგა
და წყლულები დაუამდენ!
ცეცხლის კოცონს არა ერთხელ
დაუხრუკავს მისთვის კანი,
მაგრამ იგი მაინც აღსდგა
უკვდავებით განაბანი!
გასანთლულ თოკს არა ერთხელ
ის ზვარაკათ გაუგუდავს,
მაგრამ იგი მაინც აღსდგა
და სიბნელეს მაინც ზღუდავს!
მაშ, ასეა—სიმართლეში
უკვდავების ძალა არი:
მიტომ ლხინობს დღევანდელ დღეს
არე, მარე, მთა და ბარი.
დე, ჩვენს გულსაც იგი მოხვდეს
სასოების მარგალიტათ!
და ერთმანეთს მივეგებოთ:
„ქრისტე აღსდგა!—ჭეშმარიტად!“

**ნ. ზომლეთელი.**

## საალდგომო.

ხალხი ტანჯული, წამებული, მშიერ-მწყურვალე,
მძიმე უღელ ქვეშ მწარეთ კვნესდა, მწარეთ გმინავდა,
ხმას ვერ იღებდა, ჭირის ოფლსა ღვრიდა მდუმარე,
და მის თვალებში მწუხარების ცრემლი ბრწყინავდა.
„ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ტკბილათ ცხოვრობდენ,
დღესა და ღამეს ატარებდენ ფუფუნებაში,
ზეიმი ჰქონდათ, იმღეროდენ, მხიარულებდენ,
სიცოცხლეს ლევდენ განუსაზღვრელ ნეტარებაში.
ამ დროს იშვა ის... ღარიბ ქოხში გამოიზარდა,
გაიცნო ხალხის გულის წუხილი, ჭირი, ვარამი,
აღშფოთდა გმირი, მტარვალთ ომი გამოუცხადა,
რომ ძირს დაემხო მათი ტახტი, მათი ალამი.
მაგრამ შეიპყრეს მოციქული „ძმობა-ერთობის“,
ეკლის გვირგვინი დაადგეს თავს, სტანჯეს, აწამეს
და ჯვარზე აცვეს, დამგმობელი უსამართლობის,
წუთი სოფელსა სამუდამოთ გამოასალმეს.
მოკლეს ის, მაგრამ ჩაგრულთ გულში კვლავ აღსდგა
მკვდრეთით!
მისი საქმენი თვალწინ უდგათ მათ მაგალითად
და მხნეთ იბრძვიან მონობის ჯაჭვს ამსხვრევენ მკერდით,
თანვე მღერიან: „ქრისტე აღსდგა აწ ჭეშმარიტად!“

**ვ. ჩახრუხაძე.**

## ქრისტეს.

ქრისტევ, შენ აღსდეგ შარავანდედით
დათრგუნე ბნელი, სძლიე სიკვდილი,
გოლგოთას ახველ წამების ჯვარით
აღარ შესდექი სასო მიხდილი.
მაშვრალთ და ტანჯულთ სიყვარულისთვის
ეკლის გვირგვინი გარგუნეს მტრებმა
შენ კი დიდებით სძლიე ქურუმნი:
მათ ზარი დასცეს აღდგომის ხმებმა.
აღსდეგ, მოშორდი ქურუმთ სამეფოს,
ზურგი აქციე მტარვალთა მხარეს...
და ისინი კი, ვისთვისაც მოხველ,
ისევ სისხლს ღვრიან და ცრემლს მდუღარეს.
შენ ზეცას წახველ... აქ კი დასტოვე
მშრომელთ სამეფო ბრძოლისა ველზე...
არ არის მისთვის შვება და ლხენა,
აღარ ანათებს მისთვის მთვარე-მზე.
მწვავე უღლის ქვეშ ის იზნიქება
მისი ხვედრია საკანი, ტყვია!..
შენ კი სადა ხარ ამ დროს, როს მაშვრალთ
გარს ყვავ-ყორანთა გროვა არტყია???
ეს არ შეფერის მაშვრალთა ქომაგს,
მას ვინც ავიდა გოლგოთას ჯვარით,
სისხლით აღბეჭდა თავის ცხოვრება
და განვლო დღენი ტანჯვით, სიმწარით.
ის უნდა იყოს თვის რაზმთან ერთად
გაკაჟებული ბრძოლისა ველზე,
და ქურუმთ ხროვას გაავთრებულსა
სწრაფად აბჯენდეს ბასრ დანას ყელზე.

მაშ, მო აქ ქრისტევ, დატოვე ზეცა
კვლავ დაუბრუნდი შენს რაზმს, ბრძოლასა,
და **მხოლოდ** მაშინ ვიმხიარულებთ
შენს გამარჯვებას და **აღდგომასა!**

**ვ. მალაქიაშვილი**



## ო რ ი ე შ მ ა კ ი.

(სხვა და სხვა პრინცები)

**მეორე.** როდესაც პრინცი გახლდით კახური
რკინის გზის ამბავს
მოვკარი ყური...
დავსწერე თხოვნა როგორც წესია
და ხელში ვიგდე
გზის კონცესია.
**პირველი.** ჰმ!!!
**მეორე.** (დარცხვენილი)
როდესაც ვიყავ საჩხერის პრინცი
ჩოხა პაჭიჭი
გლეხის ჩავიცვი,
მყისვე მწერალი მე გამოველი
ვით „იმერელი
ამომრჩეველი“
**პირველი.** ვააა!.,
**მეორე.** (უმეტეს დარცხვენილი)
რა მემართება სწორეთ არ ვიცი,
როდესაც ვიყავ
გურიის პრინცი
რკინის გზა მქონდა მე იდეალათ
ქალები მყავდა
მუდამ ამალათ.
**პირველი.** (გამოცოცხლდება) ბიზ, პრავო!
**მეორე.** (ცოტა შემხიარულებული)
როდესაც გახლდი ოდიშის პრინცი
მახსოვს ზედ მეტათ
ვიყავ უვიცი
დღეს კი კაცივარ გამონაჩენი
ქანქარიცა მაქვს
გამოსარჩენი.
**პირველი.** (აღფრთოვანებული) ბიიიზ! ვაშა! ბიიიზ!
**მეორე.** (უფრო თამამათ)
პრინცესა ვიყავ გურიელის.
ლმობიერობა
მქონდა მგელისა,
მიწებს დავადე უზომო ბაჟი
და ღმერთს ვემდური
რომ არ ვარ ვაჟი.
**პირველი.** (გატაცებული) მივხვდი, მივხვდი ბიიიზ!
ბიიიზ!
**მეორე.** (ადტაცებული)
სვანეთის პრინცი რომ გეახელი
განკარგულება
ვქენი ფიცხელი,
რომ ერთობისა მოისპოს კვალი
მოღვაწეთ ჩამთვლის
დრო მომავალი.
**პირველი.** (ძლიერ აღფრთოვ.) აგიშენდა ოჯახი,
ბიიიზზზ, ბიზზზ?

## ქრისტე აღსდგა!

(ეშმაკური მილოცვები).

### გურია.

ოზურგეთის წმინდანებს.

დღესასწაულს მოგილოცავ
ოზურგეთის მარგალიტო:
დიდო ვასილ, დავით წმინდავ,
ნიკოკიავ და დიმიტო.
თქვენი წრფელი სამსახური
„თანამედროვეა“ წმინდათ
არ კი შედრკეთ „მეგობრებო“.
მაგრა იყავ და კირკიტათ.

ჭყონიების რაზმს.

მოგილოცავ დღეს ბრწყინვალეს
ჭყონიების **შავო რაზმო,**
რომ გლეხებთან საბრძოლველათ
უფრო მჭიდროთ დაირაზმო;
დროთა ბრუნვამ არ დაგაფრთხოს,
ძარცვა-გლეჯა კვლავ გიყვარდეს,

და ეცადე: ცხელი კოვზი
ნაცარში არ ჩაგივარდეს.

გურულ გლეხებს.

თქვენ, გურიის გლეხკაცობავ,
მოგილოცავ გულით წრფელით
გამოცდილს და გამონაწრთობს
ათასგვარი განსაცდელით,
რომ კვლავ მაინც აგცდენოდეს
ეგ წამება, ძარცვა, რბევა,
და როგორც დღეს, მომავალშიც
არ გეფიქროს უკუქცევა.

### ბათუმი.

სოსიკოს.

ბედნიერ დღეს მოგილოცავ
სოსიკო-ჯან, ბათუმელო,
როგორც სიტყვით, ისე საქმით
ცვალებადო, მინდორ-ჭრელო,
საზოგადო სამსახურის
კანდიდატი ხარ მუდმივი
ღმერთმა მოგცეს თბილი ბუდე,
სხვა ღირსებას აღარ ვჩივი.

### ქუთაისი.

შავი ქვის საბჭოს.

დღესასწაულს მივულოცავ
მარგანეცის საბჭოს კრებულს,
რომ ქანქარი მოსდენოდეს,
მათ ჯამაგირს „შემოკლებულს“,
რომ დროებით დამწუხრებულს
გულსა მათსა გაეხაროს
და დაეტკბოს მათი სმენა
მაშინისტკა მიზანდაროვს.

დაბალ სკოლის პედაგოგებს.

მივულოცავ წითელ-კვერცხებს
და აღდგომის დღე ბედნიერს
დაბალ სკოლის პედაგოგებს,
უპრავისგან მუდამ მშიერს
და ვუსურვებ მომავალში,
მოსაკრებათ ღონე-ძალითა,
მადლით თავზე დაბერტყოდეს
იაკობის უხვი კალთა.

საახნ. სკოლას.

არ მაქვს ნება გამოვტოვო
**„ეროვნული ზურბთა სკოლა“**
ორი „მავნე“ პედაგოგი
პოეზდზე რომ შეაყოლა...
ღმერთსა ვსთხოვ, რომ „განეწმინდოთ“
ეს „ნაუკის“ მონასტერი,
რომ საფუძვლათ ედვას აღზრდას
აკობიას „ხალხის მტერი“.

ვაჭრებს.

არც ქუთათურ **ლეგა ვაჭრებს**
არ დავსტოვებ მიულოცავს
ღმერთმა ვარლამ უდღეგრძელოს
იმათ საქმეს მედგრათ რო ცავს,
ხოლო ნოქართ შესამუსრათ
მოუვლინოს ფილიპ-ალა,
მოკლე დროში გახსოვთ რეთი
„მავნე“ პირი გაასალა???

„დურმიშხანებს“

„ფურჩულში“ კი ვენაცვალე
მე ქუთათურ **„დურმიშხანებს“**,
ვფიცავ გამჩენს, ვერსად ნახავთ
ჩვენში გმირებს ამისთანებს;
რეაქციით სულდგმულობენ,
იმაშია მათი ლხენა,
ვექვობ, ვინმეს ხალხის ცოდვა
კისრათ ედვას ამოდენა.

სილოვანს.

ჩვენ **სილოვან** გენერალსაც
მივულოცავ ორჩოფეხებს
რომ სოციალ-დემოკრატებს
მისებურათ სცემდეს „მეხებს“,
რომ **ფანცხავა იაკობი**
გაუწევდეს მტკიცე ძმობას
და სანაცვლოდ უშოვნიდეს
ვიცე-გუბერნატორობას.

დიდიმს.

ტურფა **დიდიმ ჩიკვაიძეს**
რათ ვუსურვო მცირე რამე,
ღმერთმა ქნას, რომ „დურმიშხანულს“
ეწეოდეს დღე და ღამე,
რომ ამგვარი სამსახურით
გაუნათლოს მტერს გზა-კვალი,
ქუთაისის ქალაქიდან
ბათუმისკენ მიმავალი.

### ფოთი.

იონას.

საალდგომო პასკის ნატეხს,
მივულოცავ ფოთელ გმირებს
თუმც **იონას** ეს მოკითხვა
ვიცი ერთობ გააკვირებს,
ვუსურვებ, რომ გაერეკოთ
ეს მესამე დუმა ზანტი
და მეოთხე სათათბიროს
ის ყოლოდეს „დეპუტანტი“.

ნიკოს.

დიდსა ნიკო ნიკოლაძეს
დიდიც შეფერს სადღერღელი,
მან ათასჯერ გადათელა
პეტერბურგის შარა გრძელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუმცალა ვერ უშოვა
ფოთს საფუძთო საკენკავი,
მაინც ვიტყვი: ჩვენს მხარეში
ქვით ასეთი გამრჯე თავი.

## თფილისი.

ტრამვაის

**ტრამვაიდან** წამოვიწყოთ
სააღდგომო ლექსთა ძღვენი,
იქ ახალმა დირექტორმა
დაჰგმო ძველის განაჩენი;
ძველს უფლებებს ფრთხილად შესთლის
რომ ვერ იგრძნონ მწვავე ტკენა
„ამხანაგურ კომისიას“
ხომ შავი დღე დააყენა.

რკ. გზის სახელოსნოებს.

ის **მთავარი სახელოსნო**
რკინის გზას რომ აზის გულზე,
„აკორდებმა“ გაიტაცა
ასე სისხამ გაზაფხულზე.
შემოიღეს ერთმანეთში
ათას-გვარი საძაგლობა
და დარაჯათ, ჩემი მხრიდან
მივულოცე მათ „ზაგლობა“.

ქართ. ამხ. სტამბას

„ამხანაგობის“ სტამბასაც
მივულოცავ დღეს—ბრწყინვალეს,
მხოლოდ ეს კი აღარ მომწონს
მუშებმა რომ მოიმთვრალეს,
„რაჟდენკას იაჩეიკას“
ერთობ ბევრი დაეძალა,
რომ „პოლუჩკის“ მიღებისას
შეიხურონ თავის ქალა.

თფ. სააზნ. სკოლას.

ქართლ-კახეთის „ზუბრთა“ სკოლაც
ბევრით წაგავს ქუთათურსა.
ერთს ეწევა მამულისთვის
„საეროვნო“ სამსახურსა,
რომ ინვალიდ პედაგოგებს
შემოსავს და აჭმევს პურსა,
თან დღევანდელ პირობებში
არც წვალს დაწვავს, არც შამფურსა.

თეატრს

**ქართულ თეატრს** რაღათ უნდა
მისალოცი ეშმაკისი,
მე შენ გითხრა რეჟისორი
არა ყავდეს ქებას ღირსი!!
ღმერთმა ტკბილათ შეაბეროს
ქართულ თეატრს თავი მათი,
თუმც სასცენო აღარ უჩანთ
სინსილა და სალავათი.

სამეურნეო საზოგადოებას.

ალექსანდრეს ბაღის ყურათ
რაც კი მახსოვს დრო და ჟამი,
მთელი ქვეყნის სასაცილოთ
ერთი უშნო გდია გვამი.
**„მეურნეთა“** საკრებულოთ
იწოდება ვგონებ იგი,
და რომ ვინმე დამარხავდეს
კი მოითხოვს ამას რიგი.

წვრილ ვაჭრებს.

**„წვრილ ვაჭართა“** ბიუროსაც
ყავს სოსიკო, ბაყ-ბაყ-გმირი,
„ადრესით“ რომ მოითხოვა
„მანიფესტით“ დანაპირი,
მაგრამ ერთი რას **გვაწყობს**
საადრესო ბრძოლის ველათ,
თუნდ მას ცალიც არ უჩანდეს
დარაჯათ და ეზოს მცველათ.

## ჟურნალ-გაზეთებს.

**„ამირანის“** რედაქციას
მივულოცავ რა თქმა უნდა
თუმც კამათის ოინები
დაუძველდა, გაუხუნდა,
ღმერთმა მისცეს სამერმისოდ
ის აზრი. და ის უნარი,
რომ სულყველა **„მეგობრებზე“**
ხელეპირათ **არ** თქვას ვარი.

—

**„ზაკავკაზიეს“** შეურცხვა
შინაარსიც და კილოცა...
„დურმიშხანული“ მეთოდი
გოთუამ გადაილოცა;
მე რაღა ვუთხრა, უფალმა
უკურთხოს ეს გზა სავალი
და ქუთათური „მწერლები“
შესძინოს ერთობ მრავალი.

—

**„ნიშადურ“** ვალერიანი
**თავისი** სრული შტატითა,
უნდა ვაკურთხო საქვეყნოთ
ლომისკარელის ხატითა...
ვუსურვებ ყველას ძველებურ
ერთობის კიცხვა-გმობასა,
თითონ გუნიას,—ქართული
მწერლობის „დვორნიკობასა“.

—

**„ფარულების“** ახალ „შრომას“
ღმერთმა მისცეს ხანი გრძელი,
„დურმიშხანი“ თუ კარგათ ყავს
არ **დააკლდეს** საღერღელი;

თანაც ვიცით, რომ „გამოსცდის
ბედაურებს შარა გძელი“
აქ კი დღესვე დასტყობია
კამათი და აზრი ძველი.

—

„მერცხალო“, შენ რაღა გითხრა
შე ცელქო, კუდ-მაკრატულა,
თუ „ანიდან“ არ დაიწყე,
ხომ სულ „ვინმა“ გაგაპრელა,
„ონი“ სადღაც მიიმალა
„რძე“ გამოდის ნელა-ნელა
დანარჩენი ასოები
დაგენაცვლონ ერთად ყველა.

**ეშმაკი.**

---

## მილოცვა კორესპონდენტებს

ხუთშაბათ დღეს სანატრელო,
**ბლიკვაძევ** და ჩემო **კენტო**,
ვინძლო ლექსი პირ-მახვილი
უფრო ხშირათ გაიმეტო.
ვინძლო ვარლამ **ჩახრუხაძეც**
დააძალო საწერ კალამს...
ქრისტე აღსდგა!! თფილისიდან
ჩემს „ეშმაკურს“ გიძღვნი სალამს.
ბედნიერ დღეს მოგილოცავ
შენ „**ეშმაკო რევიზორო**“,
ქუთათური „დურმიშხანი“
ვინძლო კარგათ გამიჯორო.
ადგილობრივ მოღვაწეებს
გაუზომო სიგრძეგანი,
დრო მოვა და უფრო მეტათ
დაგვჭირდება ეს საგანი.
**შხანკოლასა** და **ზომლეთელს**
ვუძღვნი სალამს სააღდგომოს,
და უსურვებ ამ ჩვენ ჟურნალს
მეტი ხანი მოანდომოს,
რომ ხულიგანთ ნამოქმედარს
გვაცნობებდენ აქ ცხელ-ცხელათ
ჩვენ კი მათრახს არ დავზოგავთ
იმათ ზურგის ასაწველათ.
**მალაქიაშვილს** და **პიტნას**,
მათთან ერთად ჩვენ **კასიოს**,
ვუსურვებ რომ „მათრახისთვის“
ჯერ ზურგი არ შეექციოს;
რომ **მთიულსა** და **ცხო-მთიულს**
მოეტანოთ ცნობა მთიდან,
**ბაგრატ ვანელს** და **მეწყინეს**
ქიზიყსა თუ კახეთიდან.
კვლავ ვისურვებ, რომ **თაგუნას**
დაეტოვოს სორო თვისი
და პატარა ფელეტონი
დაეხატოს საკადრისი,
რომ **აზიანს** დავიწყოდეს
„ნიშადურის“ ურცხვი ენა
და მომავალ ნომრებისთვის
დაეწეროს კარგი სცენა,
რომ **გომართელს**, „**სიზმრის**“ შემდეგ
დაეწეროს რამე ცხადი
უფრო მკვეთრი და მახვილი
საეშმაკოთ შენამზადი,
რომ **ზაგლობას** „**სახელოსნო**“-ს
გამხილება შერჩენოდეს
და იმ „**ვაგზლის მოდარაჯეს**“.
გვარი აღარ შესცდენოდეს*).



## სიზმრის ახსნა.

სიზმრათ თუ ნახოთ ჭაობი,
ტლაპო, მყრალ-სურნელოვანი,
შიგ ერთგან ტბაც კი მოსჩანდეს
ხოჭო-გველ-ბაყაყოვანი.
უფრთხილდით, რომ არ შეგემთხვათ
ცუდი რამ სევდა-გლოვანი!
ოდიშისა წილ ეს არის
ქალაქი, ზუგდიდოვანი!

—

გვალვად თუ ნახავთ სადგომსა
„სპარტატა“ ბინათ ცნობილსა,
არაფერია! განდევნით
სევდას გულს ლახვრად სობილსა!
ზუგდიდისა წილ სიზმარი
ნიშნავს სახლს, „კლუბათ“ ხმობილსა,
შიგ სტოლს გასართობ ლოტოთი
ქალ-ვაჟით შემოღობილსა.

**ონისიმე**

---

*) რომ ლულაძის მაგიერათ
არ გალანძღოს რევიშვილი
და ამ რიგად რედაქციას
ააცდინოს ეს სირცხვილი.

**რედ.**



აი პასკა სააღდგომო!
ოზურგეთის მისალოცი,
და „ეშმაკის“ შემოწმებით
გემოვნება გასაოცი!

---

## ა ღ დ გ ო მ ა.

დიადი მცნების: თანასწორობის
პირველ მოციქულს, მოძღვარს დიდებულს,
გოლგოთის მთამდე ტვირთათ ხვდა ჯვარი,
შემდეგ წამება მასზე კიდებულს!
სცეს მას ყვრიმალში, მტარვალთა გუნდმა
ტანჯვის მეტ საგრძნობს შეუხო ხელი,
წამების ცეცხლით წყურვილ დანთებულს
აგემეს ძმარი გულის დამწველი!
აღსრულდა იგი ჯვარს მილურსმული
ნალახვრმა ფერდმა წყლის იწყო ნთხევა,
სიკვდილიც ძვლების არ დარჩა მხსნელი
და განიცადეს იმათ კვლავ მსხვრევა!
ცივს, პირქუშ საფლავს ჩააკრეს მსხვერპლი
ფარისევლების სურვილ-ნებისა,
ირგვლივ გაისმა შესაზარი ხმა
ბარბაროსობის გამარჯვებისა!
მაგრამ სიკვდილმა მისსა საფლავში
იმის მცნებასაც ვერ არგო დგომა,
და სიბნელეში კვლავ მოევლინა
დიად მოძღვრების მკვდრეთით აღდგომა!
აღსდგა სიმართლე, მისმა სხივებმა
სიბნელეს უწყო გაფანტვა, ბრძოლა,
გაჰქრა იუდა, მან გამცემელმა
სახრჩობელას წინ იგემა თრთოლა!
აღსდგა სიმართლე, თავის აღდგომით
ფარისეველთა დასცა თავზარი,
ძირს საზიზღარი იმათი დროშა,
ძირს მათი ბნელი თავშესაფარი!..

**რ. ლეჩხუმელი.**

---

### ეშმაკური გამოცანები.

დამერწმუნეთ, ამისთანა
არ გსმენიათ გამოცანა!

1\. ის ვინ იყო მწერლობაში,
(ჰკუით სწორი ქათმებთანა),
ვინც თავისი დასაკლავი
თვითვე გამოსჩხრიკა დანა?
რა თქმა უნდა ამისთანა
არ გსმენიათ გამოცანა.

2\. ის ვინ არის, ჩვენს ერთობას
რომ უმღერა „სულთა-თანა“
და ამ რიგათ „საქანქრეთში“
ბურთი ლელოს გაიტანა?
უეჭველათ გამოცანა
არ გსმენიათ ამისთანა

3\. მაშ მითხარით, ის ვინ იყო
სულით მცირე, დაბალ ტანა,
დეპუტატთა თავ-დადება
,,სიცრუეს‘‘ რო გაატანა?
სჩანს მკითხველო, გამოცანა
არ გსმენია ამისთანა.

4\. მარქვით აბა, ის ვინ იყო
შავ-რაზმული რომ სთქვა ნანა,
იჯმნა სოფლით და ხელები
პილატესებრ დაიბანა?
არა ვფიქრობ გამოცანა
თქვენ გრმენოდეთ ამისთანა.

5\. მაშ იცანით ის ვინ იყო
ენა ჭრელი თავ-მგოსანა
ქანქარისთვის რო დაოთხდა
ჭავჭავაძის კუბოსთანა?
ამის მსგავსი გამოცანა
არ გსმენიათ ჯერე, განა?

P. S. მაშ თუ ვისმე გაუჭირდეს
მოირბინოს ,,ეშმაკთანა“.

**ზარმაცი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სული წმინდის მოფენა.

„პავლე მოციქული".

იჯდა „პავლე მოციქული"
მაგიდასთან
თავ მირგული...
მაღლით ედგა შუქ მფინარე
და უმანკო
წმინდა სული.
და სიურცხვით გასაშტერით
(სული წმინდის
მონაბერით!)
„სიცრუეს" და „ღალატს" სწერდა
კისერ კალამ
მონაღერით.
სწერდა: რომ ეს ქვეყნის პირი
რომ ცხოვრება
ზნე დუხჭირი
„ესდეკების" ბატონობით
გახდა ფრიად
გასაჭირი.
რომ გახშირდა „ჭამა მარხვის",
რომ არა სწამს
ღმერთი არვის,
რომ ოთხშაფათ-პარასკევი
სიწმინდით არ
შეინახვის.
რომ ქართველი დეპუტატი
არის გლეხთა
მოღალატი,
(და სოსიკო*) იყო მხოლოდ
ერის გულის
ანდამატი).
რომ ხალხისთვის არ დაიცა
არც უფლება,
აღარც მიწა...
(აქ პირჯვარი გადისახა
და სინდისიც
დაიფიცა!!)
სული წმინდა უჩინარათ
თავზე ედგა
პავლეს მარად
არ ზოგავდა ძალთა თვისთა
მოციქულის
დასახმარათ.

—კი.

## სააღდგომო მესტვირული.

აბა სტვირო, ჩვენსა გმირებს
არ შეფერის დავიწყება,
სადარბაზოთ დავუაროთ
და შევასხათ ქებათ-ქება;
მათის ეშხით, გმირულ ქცევით
ტრფობის ალი ვის არ ხვდება,
მათზე უფრო საქებარი
აბა მითხარ—ვინ იქნება?!.

პ. გოთუასას.

ჰა, გოთუა—ნათლის სვეტი,
დიდიმისა მეგობარი,
ყალბ ცნობების მსწრაფლ-მბეჭდავი,
უებრო და უშიშარი.
სიმტყუვნეში რომ დაიჭერ,
დაიფუკვის როგორც ჩვარი,
პოლიციის მოწმობაა
მისი შუბი, მისი ფარი;
ან კი რა ქნას, როს ღმერთად ყავს
კუჭის მძღომი მას ქანქარი...
პართენ სხვაა, ჭორი სხვაა,
შუა უძევს დიდი მზღვარი!..

ხეობელისას.

აჰა, კიდევ გმირთა-გმირი,
ყმა საქები—ხეობელი,
„ნიშადურის" ფურცლებზედა
ჭორებისა გოდრით მდგმელი.
ნუ დავძრახავთ, ცოდვა არი:
კუჭი ჰქონდა ცარიელი,

*) ბარათაშვილი.

სამართლის რევოლუციის [illegible]
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ



დღეს არ შია, მაძღარია,
ბედისაა მადლიერი;
თვის ჰორების წყალობითა
მოიპოვა მწყალობელი
და ბანკისა სალაროში
მანაც შეჰყო ,,წმინდა‘‘ ხელი.

გუნიასას.

თუ ხეობელს ქება ვკადრეთ,
გუნიამ რა დააშავა?!.
ამ ვაჟმა სხვის პიესები
მისებურათ ჩააფლავა..
ჰორებიც მან სხვა გმირებზე
არა ნაკლებ დააზლვავა
და მით გული „ჭეშმარიტთა“
კიდევ უფრო დაამჟავა...

იროდისას.

გუნიასთან იროდისაც
თვარ შევასხით ქებათ-ქება,
ეს ,,მგოსანი სამყაროსი‘‘
ვიცი, ძლიერ გაჯავრდება.
იროდიჯან! შენი ლექსი
,,ნიშადურის‘‘ არს მშვენება,
მარა სხვა შენ ლექსთა შორის
იმისთანა რა იქნება
ამ ბოლო დროს თქვენმა მუზამ
დაბადება რომ ინება.
და შვენებით სავსე რო არს,
პოეზიით რომა დნება...
იმ ლექსითა იროდ მებრძოლთა
უმოწყალოთ ერეკება
და მაგივრათ ბრძოლის ველზე
იროდის მსგავს გმირთ გვპირდება!..
ეხ, იროდი! რათ სასტიკობ,
კაცი რათ არ გეცოდება!
ნუ გარეკავ იმ მებრძოლებს,
მამაშენი გიცხონდება,
და თუ მაინც არ დაიშლი,
მუზა შენი ახირდება,
შენს თავს მაინც გაუფრთხილდი,
გუნიას კვლავ დასჭირდება:
სად ბრძოლა და სად იროდი!..
ხიფათი რომ მოგადგება,
ბრძოლის ველზე მედგრათ დგომა
ხომ არ არის რუმბზე გდება?..

სამსონისას.

ახლა სამსონს მივუმღეროთ,
ნაქებია ბიჭობაში,
,,წერა-კითხვის‘‘ წევრებათა
მუშების არ მიღებაში,
მუშა ხალხის წევრობითა
გამჯდარი აქვს შიში ძარღვში,
ისე... ცოციალისტია...
ჭეშმარიტ ქართველობაში.

ვახტანგისას.

ვახტანგიც ხომ ქებულია
საქართველოს ,,წმინდა‘‘ ხალხში,
კნეინისთვის სასამართლოს
ჩაშლაში და ჩაფუნგვაში...
სხვა საქები არა რა არს
ამ უებრო რაინდ ყმაში,
ჯერ სახელი არ გაუთქვამს
,,პატრიოტულ‘‘ საქმე სხვაში.

სილოვანისას.

ვგონებ მეტი არ იქნება
რომ შევაქოთ სილოვანი,
ილიოდორ ქუთაისის,
ჭეშმარიტ ქართველოვანი,
შავრაზმული ქადაგებით
ნაქები და ხელოვანი,
მუშტის მქნევი, ტვინ-ნანჯაყვი,
ზორბათ მოსულელოვანი.

იაკობისას.

სილოვანთან იაკობის
მოვიხსენოთ უფხო სახე,
ჭეშმარიტი ქართველია,
ტვინ-მჟავა და სავაგლახე,
მის ფართრეთს და ღვაწლთ აღწერას
ველი, მარა რომ ვერ ვნახე!..
ამისათვის, შენ, ეშმაკო,
სწორეთა ხარ სამათრახე...

—

აქ შევწყვიტოთ, ჩემო სტვირო,
ჩვენ გმირების ქებათ-ქება
და შემდეგში მათი ხოტბის
არ დაგვზარდეს გაგრძელება..

კენტი.



## კითხვა-პასუხი

კით. რამ დააძმარა კვინიხა?
პას. დიდიხნის სიმშილ-მარხვამა.
კით. რამ გაახარა იგივე?
პას. ბევრი ქანქარის ნახვამა,
კით. მერე, ვინ მისცა ქანქარი?
პას. უგიცმა მასამ, ძმია!
კით. მერე, ხალხისა ფულები?
პას. გგონია შეუჭამია?
არა, „ინახავს ხალხისთვის.“
კით. უბრალოთ რათ ეწვალება?
აბა, რა სარგებლობა აქვს?
პას. უცრათ მიიმალება!..

მ. ლელაშვილი.



## მ ე ს ტ ვ ი რ უ ლ ი.

ზამთარმა სული დალია
დასტოვა ტახტი ძველიო,
ზედ გაზაფხული დაბრძანდა
მორთული, კაბა—ჭრელიო.
მიძინებული ბუნება
სიცოცხლე გაუყრელიო,
ათას ფრათ შეაფერადა,
შეამკო ტყე და ველიო.
აქ ია აყვავებულა,
სინაზით შეუდრელიო,
იქ ყვავილთ გროვა მოჩანა
ჯერ კონად შეუკვრელიო.
წალკოტში ვარდი იშლება
ყინვითა დაუზრელიო,
იქვე ბულბული—მგოსანი
ტკბილი ხმის უზოგველიო.
დამთვრალა ვარდის ეშხითა
უსტვენს: „შენს გაშლას ველიო!“
მეცა მოვმართე ქამანჩა
და სტვირი დასაკვრელადო,
ენა სიმართლით ნაწრთ[illegible]ი
აროდეს გასახრელადო.
სიკეთის ქვაზე მოვლესე
სიმრუდის გასაჭრელადო.
ვინც არის ქვეყნის ორგული
და ბრიყვობს ენა მჭრელადო.
მისთვის მაქვს მომზადებული
ნემსივით გასაყრელადო,
დაუკარ ჩემო ქამანჩავ,
აბა, ჰა, ერთი, ხელადო.

შაირ სიტყვითა ბლიკვაძემ
დაბლა ეშმაკი ახსენა,—
იკურთხოს ტარტაროზიდან
ეშმაკო, შენი გაჩენა.
სპერმაკუდინის წვეთებმა
რამდენს ფეთება აჩვენა!
მათრახმა ვისაც უწია
იწყევლა ბედი, გაჩენა.
(საგრძნობი იცის კუმფხოზე
თურმე წყლულების დაჩენა).
ქანქარიელთა ბანაკში
ვისაც სურს ხოლმე დარჩენა.
თვიური ასი მანეთი,
—თბილი ადგილის აჩენა,
სიყალბით თავის შენახვა,
მდიდრული ჩაცმა და რჩენა.
მადლია ამათ ბექებზე,
მათრახის კვალის დაჩენა
და მაშ, ნუ ვზოგავთ, ეშმაკო,
გადავუცხუნოთ მათ ჩვენა.

წასვლა მწადია თფილისში,
კორტოხი თუ არ დასთუა,
მინდა ვიხილო უთუოდ
ის რედაქტორი, გოთუა.
სამართალს უგვერდულაო
ამბობენ მართლა ეს თუა,
მას კუდი უნდა მათრახის
რომ დაისწავლოს დროთ ქკუა,
(მსჯავრს მხოლოდ იგი, გაურბის
გაუსწორებლივ ვინც სტყუა).

ლანჩხუთისა პედაგოგებს
ამ დღეებში ქონდათ კრება,
რა ხანია ამ ბედკრულებს
თავის მოყრა ენატრება.
მარა ყველა საკითხები
თავმჯდომარის ხელში ქრება,
სამსახურის კაკია და
მიხვდით სითაც გადიხრება.
ხუთი ყავდა მას ძმა ბიჭი,
მათი ჭირი შეეყრება,
ექვსივე კი მოსაზრებით
ბაში-ბუზუკს შეედრება.
თითო მათგანს დანაჩოქი
მუხლის თავზე ტყავი სძრება
(ვერ მიიღებს ჩინს, ვინც ბატონს,
არ ლოკავს და არ უძვრება)
დავასრულე მესტვირული,
დასვენებაც მენატრება.
ვხედავ გული იჩუტება,
სტვირიც აღარ დაიკვრება,
ვიცი რომ არ მომეშლება
მე მუქარა და ყვედრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიც კბილით მიკავია,
სანამ ხორცს არ გაეყრება
და დავდივარ ოდეს მწყალობს
თქვენი ლოცვა და ვედრება.

ბლიკვაძე.



## ვერ მახარებს აღდგომა.

ველარ მატკბობს გაზაფხულის
ტურფა მდელო, ცის ლაჟვარდი,
ვერც ბულბულის „ტია-ტია",
ვერც კოკობი ია-ვარდი.
გარს ბუნების ქორწინებას
აღარ ლხინობს ძველებრ გული
და განიცდის მწარე კვრანჩხვას
სევდის გესლით დადაგული.
მესმის ჩაგრულთ მწარე კვნესა!
გულს ევლება ის მწველ შხამათ
და ცხოვრება დღევანდელი
თვალწინ მიდგას შავბნელ დრამათ.
მაგონდება მაცხოვარი
და „მაღალი მისი მცნება",
„ისიც" ჯვარზე აკრულია,
„ისიც" ისე იტანჯება.
რის „ძმობა"! რის „სიყვარული"!
დაუფიქრდი: რაებს ჩმახავ?!
დღეს, ძმავ, მხოლოდ იგი გარგებს,
თუ თრიჭეს ერთგვარ სძრახავ!
ამ ნაირად ეგ ცხოვრება
თითქოს უფსკრულს თავს წაადგა,
და ნუ გიკვირს, თუ ვერ მალხენს
ვერც ეს ტკბილი „ქრისტე აღსდგა".
ველარ მალხენს გაზაფხულის
ველარც ვარდი, ველარც ია,
ვერც ფირუზი ცის ლაჟვარდი,
ვერც ბულბულის „ტია-ტია".
ვერც მინდორზე ღილის ნამი,
რომ ცქრიალებს მარგალიტათ,
და ვერც ხალხის ყრიამული:
„ქრისტე აღსდგა!—ჭეშმარიტათ"!..

ნ. ზომლეთელი.

* * *

გოლგოთას მთაზე სისხლი იღვრის, სისხლი უმანკო,
სისხლს ღვრის და კვნესის სიმართლისთვის თავდადებული,
მას, ჯვარზე გაკრულს' დახვარ ცემულს, და სახე მომქრალს
მხიარულებით ბრბო შეჰყურებს გზა დაბნეული.
საბრალო ხალხო!... თქვენ იცნობდით ამ კაცს წამებულს,
ვის სასიკვდილოთ ხელთ აიღეთ ბასრი ლახვარი,
ეს ის კაცია, უბედურნო, ვინც ბოროტ ძალას
წინა აღუდგა სასტიკ ბრძოლით, დასცა თავზარი.
მკაცრ სიღარიბეს ის წარმოშვა, მანვე აღზარდა,
აქვე დახედა მან ცხოვრების უკუღმართობას,
თანასწორობის ქვეყანაზე დასამყარებლათ
ყველგან უშიშრათ ქადაგებდა ძმობა-ერთობას.
ეს არ მოსწონდა ამ ქვეყნისა მპყრობელ-ბედნიერთ
ფარისეველებმა მას ხალხისა მტერი დაარქვეს,
და ბევრის დევნის, დაცინვის და წვალების შემდეგ
ავაზაკებთან სასიკვდილოთ ჯვარზე გააკრეს.

* * *

ჩაგრულთა მხსნელი სამარეში განისვენებდა,
ქვეყნის მტანჯველნი გამარჯვებით გაიხარებდენ,
მათ არ ეგონათ, სიმართლის მის დასამარებით,
რომ თავიანთ თავს სამუდამოთ ასამარებდენ.
აჰა გაისმის გრგვინვისა ხმა თავზარ დამცემი,
მიწა ზანზარებს, ხალხი დელავს შეშინებული
და აჰა აგერ ხმა მოისმა, ქრისტე აღდგაო,
ჩვენთა საშველათ ჭეშმარიტათ მოვლინებული.
სიმართლის ძალა ქვეყანაზე კვლავ გამოცხადდა,
თავის აღდგომით მან სიკვდილი დაასამარა,
შავ-ბნელმა ძალამ, ბოროტებამ ამ ქვეყანაზე
სიმართლის წინა სამარცხვინოთ თავი დახარა.
მოდით, შემოკრბით ტვირთ მძიმენო, კვლავ ხმა გაისმის,
ჭეშმარიტების ხელთ აიღეთ ამაყი დროშა,
აღთქმულ ქვეყნისკენ გავექანოთ, ტანჯულო ხალხო,
სად დავამყარებთ ყველასათვის ბედნიერ დროსა.

ბ. გელა.

---

## პატარა ვეფხის ტყაოსანი.

იყო ქუთაისს სიდოვან პოეტ-პედაგოგ-მგოსანი,
მაღალი სულით მდაბალი, ზოგზოგჯერ ხელ არგანოსანი,
,,მკვლელის‘‘ და მცველის ავტორი, ვინმე გრამატიკოსანი
უებარი და მოუბრე, ჭეშმარიტ ქართველოსანი.
სხვა არა ჰქონდა საქმე მას, თვინიერ მტრობა-შურისა,
სიმართლეს ეტყვი, ივშუტებს, მუშტებით მოგამურისა,
სრულად არ ითქმის ამ ჟამათ მომქმედი არის თუ რისა,
საარხანგელო სამგზავრო, მას ძალუძს სამსახურისა-
დასრულდა მისი ამბავი, მცირედი რამე ხანისა,
ვით ჰქქიათი, ძველ დროში, განჯელი ჰაზატ-ხანისა.
ნაქები არის „ფურჩული" ცნობილი დურმიშხანისა
და კალმოსანი დიდიმი, ხან ეს არის და ხან ისა.

ბლიკვაძე.

## საალდგომო.

(ხევისადმი)

**ხ ე ვ ს**

ქრისტე აღსდგა! მაგრამ შენ კი,
კვლავ განაგრძობ ძველებრ ძილსა,
აღსდეგ! და სთქვი: ქრისტე აღსდგა
ჩვენც მოგძახებთ მოძახილს.

**სტეფანწმინდის სკოლას**

ქრისტე აღსდგა! გაზაფხულიც
ახუვავილებს მინდორ ველსა,
შენც გისურვებთ აღსდგე მკვდრეთით
და უნათო მხარეს ბნელსა.

**სამკითხველოს**

ქრისტე აღსდგა! მაგრამ ჩვენ კი
კვლავ მკვდარს გხედავ სამკითხველო??
მაშ უსურვოთ ამდგარიყოს.
ამ სტრიქონთა წამკითხველო?

**ჩვენს ზ—ს**

აღსდგა ის, ვინც არ შეუდრკა
თქვენებრ მხეცთა განჩინებას!
დიახ აღსდგა! და გიქადით
საუკუნოდ დაძინებას.

**სტეფანწმინდელებს**

თქვენც გილოცავთ „ქრისტე აღსდგას“
და მსურს გკითხოთ ერთი რამა;
ის სასოფლო სკოლის ფული
სად არის, ან ვინ შეჭამა?

**მღ. ა. ფ-შეს**

სულიერ მამად ითვლები,
მაგრამ... ვაი რომ არა ხარ!
,,იმას“ შემდეგ, რაც იმასქენ,
გვითხარ მაინც სად, როგორ ხარ?

**შ—და კომპანიას.**

თქვენც გილოცავთ „დევ გმირობას“
ისე როგორც იყოთ ღირსი,
გახსოვდესთ რომ არ შეგრჩებათ
ჩუმად წანაღლეტი სხვისი.

**მამასახლისს**

აწ კი შეხვდა საკენკელსა,
ჯიბეც კარგად გაისქელა,
და „ახალ თაობის“ ქერქში
„იმას შობა“ ნელა-ნელა.

**ამხანაგებს**

ქრისტე აღსდგა! მეგობრებო!
და საკვდილი მით დათრგუნა,
ჩაგრულთათვის თავ დადება,
ჩვენ გვავალა და გვარგუნა.

**დ. მოხევე.**

---

## საკანთან.

სევდა-ჭმუნვით შებორკილი
მივყრდნობივარ ჩემ ფანჯარას
და ოცნება სიყვარულით
გულში ვიკრავ მთელ ქვეყანას;
ვიწრო არის ეს საკანი
სხივიც ძნელათ მომინახავს
არც არავინ შიგ შემოვა,
ვერც გარედან დამინახავს...
ბნელა, მუდამ წყვდიადია...
იქ კი, გარეთ, გაზაფხულობს
და თავისუფლების ჰანგი
ჩემთან შემოპარვას ცდილობს.
არ უშვებენ... საკეკლუცოთ
იმოსება მინდორ ველი
გაზაფხული ახლოვდება
გაზაფხული სანატრელი!..
არვინ მოდის. ან რა უნდა?!
მხოლოდ ერთი არ მშორდება
დილით ადრე მოჭიკჭიკე
ჩემ სარკმელთან ჩამოჯდება,
და მიამბობს იმ ქვეყნიურ
ნეტარება სიყვარულსა
გადმომიშლის მწარე სტვენით
ხალხის ტანჯვა, გულის წყლულსა.
მიამბობს და გაფრინდება
მე კვლავ ვრჩები მარტო ხელათ...
ოჰ ნეტავი მომცა ფრთები,
რომ გავფრინდე უდარდელათ.
ხარობს ყველა. მინდორ-ველი
საკეკლუცოთ იკაზმება:
ჩემს საკანში ზამთარია
და ღუსალის გული ჰქრება.

**დ. მეჩონგურე.**






# წერილები ეშმაკისადმი

## სამტრედიის რაიონი.

**ჯიხაიში.** ეშმაკოჯან, თუ ძმა იყო
ჩაგვიწერე ეს ამბავი:
სამკითხველოს გამგეობამ
როგორ შეირცხვინა თავი.
ისე კარგათ მიიმალენ
რომ არვინ სჩანს დამნახავი
არც სტრაჟნიკი მონავარდე,
არც შპიკი და არც პრისტავი·
ახლა, ჩვენი სამკითხველო
სურთ აკურთხონ სატუსაღოთ
და თუ ძმა ხარ დაგვეხმარე,
რომ წიგნები გაგვისაღოთ.

**ჯათუ.**

—

**სამტრედია.** გენაცვალე ეშმაკ-ძმაო!
მოგვისმინე თუ გწამს ღმერთი:
წარმოდგენას დავესწარი
და უნდა გაცინო ერთი.
დასდგეს, ბიჭო, მაგ ოხრებმა
გალექსილი „პაწა-კახი“...
რა ვინატრე რო იცოდე
შენი კუდი და მათრახი!!!
კობახიძემ და ბრელიძემ
ხომ „ჩაიმას“ ჩააფლავა,
მაგრამ უნდა დაგენახა
ქალბატონი გოგიავა.
ასტყდა სტვენა საარაკო
აღარ იყო ყურთა სმენა
ახ, მათრახის მწვავე კუდი
რათ გვიღირდა მაშინ ჩვენა!

**ბეკოლია.**

—

## თიანეთიდან.

მოდი და ნახე ეშმაკო, ჩვენში რა გასაჭირია
მიყრუებულსა ალაგას, რო ყველაფერი ძვირია,
თან წამოიღე მათრახი, თიანეთისთვის გვჭირია
და ვინც კი ღირსი გამოჩნდეს ცრემლებით აგვიტირია.
ვიდრე თიანეთს ამოხვალ, ინახულებდე ერწოსა
სოფლებს ხშირ-ხშირათ შეხვდები, მიწას კი ერთი ბეწოსა,
თუ გზას შემოგხვდეს თურქაძე და ანათორა ეცოსა
ისე გაჰკარი მათრახი, რო წელში მოიკეცოსა.
თიანეთს შკოლაში ნახე ,,მიხა ვეფხი'' და ვანია
თანაც ივანეს მეუღლა, ირემაშვილის ქალია,
სამთავს გაჰკარი მათრახი, რო გაახილონ თვალია
უსაქმურობა გადასდვან, შეიგნონ თავის ვალია.
არ დაგავიწყდეს მათ გვერდით ,,მგელი ოდილიცა'' ნახია
და რასაც ბეტუვის ,,მართალსა'' ის გულში ჩაიმარხია,
კანტისა ფილოსოფიის შესწავლა განუძრახია
მაგრამ, მერწმუნე ამისთვის ჯერ მისი გოგრა მკვახია.
ვაჭრებზე რადა მოგწერო, ან კი რა მოსაწერია,
ჩვენი ბედი და იღბალი მათ დავთრის წიგნში სწერია,
ეს კარგათ ვიცით მაგრამ რა, ყველა ჩვენგანი მტერია
და თუ გვიშველის ისევ ის, შენი მათრახის წვერია.
კიდევ, აქა გვყავს, ეშმაკჯან, სტუდენტი „აგრონომია“
ყენევა, შვეიცარია, უნახავს როგორც სდომია. .
სიტყვით ,,ესფერობს'', საქმით კი სულ სხვა რამისა მდომია
აღარც ცენტრი სწამს ღვთის მადლმა, არც მისი ავტონომია.
გლეხებს უწოდებს: ,,დუბლეტებს'', ზარმაცებს (და-გიგონია?!)
ეგრე აზროვნებს საშიკო, ჩვენ კი ნასწავლი გვგონია,
ფშავ-ხევსურეთი ამისთვის ან კი რა მოსაწონია
გლეხი ზარმაცი?! საშიკოს, ე რა დიდი ჭკვა ჰქონია!?!
მოდი, ძმაოჯან, გაშინჯე ვინც შერეულა ჭკვაზედა
ვინც შკოლას ვერა პატრონობს, ვინც დადის ლოთობაზედა,
ვინაც ხალხს ყვლეფავს, ატყუებს, ვინც მღერის სულ სხვა ხმაზედა
სუყველას გაჰკარ მათრახი ტყავი ააძრე ტანზედა.

**ცხო-მთიული.**

—

**თელავი.** ძმაო ეშმაკო! გვითხარი
რათ დაივიწყე თელავი?
იქნებ გგონია ძვირობდეს
ჩვენში სიმართლის მთელავი?
სცდები ძმობილო, თუ ჰგულობ
ჩვენში ამ სიის წესებსა
პირ-იქით, შენი მათრახი
ბევრს რამეს გაგვიკეთებსა·
პირველ რიგშია ტერტერა
სამშობიარო კასითა
და უნდა დაგვიჯილდაო
მათრახის კუდით ასითა.
ვითარცა მამა სულისა
ნაწრთია მოტყუებაში,
მაგრამ ყველაფერს გაუგებ
ეშმაკურ ალსარებაში
შემდეგ საქორწინ-კასაში
ეახლე ჩვენსა ნინოსა,
მაგრამ უფრთხილდი, პრისტავთან
ხელათ არ მიგავლინოსა.
გაჰკარი ამა ქალბატონს
როგორც რიგი და წესია
ექვსი ათასი მანეთი
სხვისი რო „შეუთრესია·“
კოტე ხირსელიც ღირსია
მათრახით ზურგზე-რებისა
რადგან დაიწყო ბოლო დროს
„ფოდრაჩიკობა მკვდრებისა.
მაშ ეგრე, ძმაო ეშმაკო
გადმოიარე მთა-ველი...
გულის ფანცქალით მოგელი
შენი

**ბაგრატა ვანელი.**

—

**ახალსენაკიდგან.**
ძმაო ეშმაკო ძმობილო,
ყური დამიგდე კარგათა!
მე „პაციენტებს“ აგიწერ
და შენ კი მოცხე მაგრათა!...
ორმოცი ვერსის მანძილზე
სენაკ-ზუგდიდის გზაზედა
ასხედან ფაეტონებზე
დროგ-ფურგონ-დილიჟანზედა
„იამშჩიკი“ თუ „კუჩერი“,
საერთოთ-„იზვოშჩიკები“!
სულ მაგათ უნდა' რაც უნდა,
აუწვა კუდის რიკები!
რათ არ იციან, რომ ღმერთმა
ასე სთქვა პირუტყვ-ხარზედა:
„ექვსი დღე ებას უღელში,
მეშვიდეს დაწვეს მხარზედა!“
განა იგივე არ ითქმის
ადამიანზე, კაცზედა?!
მაშ, რისთვის გაჩნდა მეტყველათ
ის ამ კრულ ქვეყანაზედა?
იქნებ უცდიან დღეს, როცა
ალა თვით ეტყვის: „თომაო!
გეყოფა კვირით კვირამდი
ექვსი დღის ძნელი შრომაო,
კვირას დაჯექი, იკითხე,
სცან რაა კარგი, ავიო,
ქირასაც გაგიძლიერებ,
არ მოკვდეს ჩემი თავიო!“
და რომ დრო აღარ დაჰკარგონ
ამ უნაყოფო ლოდინში,
შაფათ საღამოს დასცხე!... რომ
კვირა-დღე იწვენ ლოგინში!
თუმც კითხვა ჟურნალ-გაზეთის
მათ აზრში მეტი ბარგია,
მაინც ხომ დაისვენებენ
და მათთვინ ესეც კარგია!

—

სადგურ სენაკში იხილავ
„მუშათ არტელის“ წევრებსა
და თითოს მათაც გადაჰკრავ
მათრახის მწვავე წვერებსა!
თან ეტყვი: „ბოჰკებ-ცალების
გამოძვრა-გამოფცქვნილებას
ნუ მისდევთ, თორემ მათრხ ქვეშ
იგრძნობთ სინდისის მხილებას!
ვაჭარს რომ ერთი მოჰპარო
იაშჩიკიდგან ტარანი
არც სახლი აგიშენდება,
ბეღელი, არცა მარანი,
მისთვის კი ხელსაყრელია:
ჰპოვობს სალაყბო მასალას
და ხალხის გატყავებაში
არც ღონეს ზოგავს, არც ძალას!„

**ონისიმე.**





„ან ზურნა და ან სიკვდილი!“

## მიჰქრის ეტლი ვერისაკენ!

(ვუძღვნი ვლ. მიქელაძეს).

მიჰქრის ეტლი ვერისაკენ,
მიჰქრის, როგორც შევარდენი!
ქუჩას ატკბობს ზურნის ჰანგი
იმ ეტლიდან მონადენი.
მისი „ტკბილი მელოდია“
ნექტარივით მწვდება გულში,
და მივყევარ მსუბუქ ფრთებით
სანეტარო ჩვენ წარსულში.
„ბარაბანის“ ნაზი კილოც
სულს მიმშვიდებს, სმენას მიტკბობს
და ოცნებით, წარსულშივე
თავდაყირა გადამიშობს.
„ოჰ მეზურნევ, დაჰკა, დაჰკა“
ბარაბანო უთხარ ბანი,
გამიქარვე გულის სევდა,
და მომიკალ კაეშანი.

ვინა სთქვა, რომ ეს მუსიკა
„კულტურასთან“ იყოს მწყრალათ*)
და ქუჩაში სეირნობა
აეკრძალოს ზურნას ძალათ?!
„ოჰ მეზურნევ დაჰკა, დაჰკა
გამაგონე ეგ ხმა ტკბილი“
გასწი ეტლო ვერისაკენ,
„ან ზურნა და ან სიკვდილი!“

**ეშმაკი.**

---

*) ეს საკითხი, „უპრავაში“
ირჩეოდა აგერ ხანათ
და ვლადიმერ მიქელაძემ
ტანჯულ გულის მოსაფხანათ,
დაამტკიცა, რომ უზურნოთ
აღარ ვღირვართ არცა ჩირათ
და მუსიკა უკეთესი
არ იქნება ქვეყნის პირათ.

ე—

რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, რუსსკაია ქ. № 3.